თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Тбилисский государственный университет

შრომები

102

ТРУДЫ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შრომები

102

მექანიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა სერია

თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა

თბილისი 1964

Тбилисский государственный университет

ТРУДЫ

102

СЕРИЯ МЕХАНИКО-МАТЕМАТИЧЕСКИХ НАУК

ИЗДАНИЕ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

ТБИЛИСИ 1964

დაიბეჭდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის
ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

*

შინაარსი

СОДЕРЖАНИЕ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 102, 1964
ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА, т. 102, 1964

ლ. გოკიელი

მათემატიკის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის

მათემატიკის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს მასალის სწორი დალაგებისათვის და საერთოდ მათემატიკის ისტორიისადმი მართებული მიდგომისათვის. ამ საკითხის მართებულ გადაწყვეტას ღრმაფილოსოფიური კვლევა-ძიება ესაჭიროება მათემატიკის საფუძვლებისა და ისტორიის შესახებ. საქმე მარტო გარკვეული სქემის დადგენაში კი არ მდგომარეობს მათემატიკის ისტორიის მდიდარი მასალის რაიმე სახით მოწესრიგებისათვის, არამედ გარკვეული პრინციპული მნიშვნელობის მქონე პოზიციის დაჭერაში მათემატიკისა და მისი ისტორიის მიმართ.

ამჟამად არსებობს მათემატიკის ისტორიის რამოდენიმე პერიოდიზაცია. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ, როგორც ამის ჩვენებას ჩვენ შევეცდებით ამ შრომის პირველ, კრიტიკულ ნაწილში, მათ ფართო გავრცელებას არ შეესაბამება მათი დასაბუთებისა და გამართლების ხარისხი. საერთო ნაკლი მათემატიკის პერიოდიზაციის არსებული თეორიებისა იმაში მდგომარეობს, რომ მათ საფუძვლად არ უდევთ პერიოდიზაციისათვის საჭირო ერთი გარკვეული და ამასთანავე საკმაოდ გამართლებული პრინციპი. პირდაპირ გადმოღებულია საერთო ისტორიის პერიოდიზაცია (ძველი დრო, შუა საუკუნეები, ახალი დრო) ან საზოგადოებრივი ფორმაციის საფეხურები ანდა აღწერილობითი სახით დახასიათებულია ისტორიული რიგით აღებული გარკვეული მსხვილი ფაქტები მათემატიკის წარსულიდან, რაიმე ზოგადი მიდგომის შემუშავების გარეშე. ორივე ეს გზა არის შაბლონური და უმცირეს წინააღმდეგობის მქონე გზა. ისტორიის საერთო პერიოდიზაციის უბრალო განმეორება, მათემატიკის ისტორიის პერიოდიზაციის შემთხვევაში, გამომხატველი იქნება საქმისადმი მექანიკური მიდგომისა და ვულგარული სოციალოგიზმის მიდრეკილებისა.

მათემატიკის ისტორიის ფაქტები დახასიათებულ იქნება მხოლოდ მათთვის გარკვეული ადგილის მიჩენით მსოფლიო ისტორიის საფეხურების გასწვრივ და მათემატიკის ისტორიის ფაქტები, ამგვარად მოწესრიგებული, ზოგჯერ გამოიყურებიან როგორც ნაძალადევ და ხელოვნურ ადგილების მქონედ. მაგალითად, გამოდის, რომ, რადგან ახალი დროის დასაწყისად საფრანგეთის რევოლუცია არის მიჩნეული, ამიტომ მე-17 საუკუნის, მათემატიკის ისტორიის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი და გარდატეხითი ხასიათის მქონე აღმოჩენები—ანალიზური გეომეტრიისა და უსასრულოდ მცირეთა აღ-

რიცხვისა—მოთავსებული იქნება შუა საუკუნეებში და გამოვა, რომ შუა საუკუნეები არის მათემატიკის ისტორიის ერთერთი ყველაზე საყურადღებო და მშფოთვარე პერიოდი.

საერთოდ იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მათემატიკის ისტორია, როგორც ერთიანი მეცნიერული დისციპლინა, და ამ ისტორიის გარკვეული რაციონალური პერიოდიზაცია, საჭიროა თვით მათემატიკის ისტორია განხილული იყოს როგორც ერთიანი და მთლიანი პროცესი. რაიმე საგნის ცვლილებაზე ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ლაპარაკი, თუ ამ ცვლილების პროცესში ეს საგანი ერთიანი და იგივეობრივი სახით წარმოგვიდგება. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი საგნის ცვლილებას და საერთოდ ცვალებადობის პროცესს კი არ მივიღებთ, არამედ ერთიმეორის გვერდით სტატიკურ მდგომარეობაში მყოფ სხვადასხვა საგანს. თუ ავიღებთ, მაგალითად, ცალკეული ადამიანის ცხოვრების საფეხურებს: ბავშვობას, სიყრმის, სიმწიფის პერიოდს, სიბერეს, აქ სხვადასხვა ადამიანები კი არ გვყავს მხედველობაში, არამედ ეს შეეხება სწორედ ერთსადაიმავე ადამიანს. ცვლილების საფეხურების არსებობა საგანს კი არ ამრავლებს და თვით მის *ცვლილებას* „საფეხურებრივი“ სახით კი არ წარმოგვიდგენს, არამედ ამ ცვლილებაზე იმდენად შეგვიძლია ლაპარაკი, რამდენადაც საქმე შეეხება ერთსა და იმავე, დაუყოფლად წარმოდგენილ საგანს. ცვლილება რომ საგანს ყოფდეს, ეს დაყოფა მაინც ხომ ერთსა და იმავე საგანს შეეხება, ის უნდა მოხდეს ერთიანი საგნის ფონზე და ამით კვლავ დადასტურებულია ცვლილების საფეხურებრივი გაგების მცდარობა.

მსგავსი მდგომარეობა გვაქვს მოძრაობის „კინემატოგრაფიულ“ გაგების შემთხვევაში. მოძრაობა არ ნიშნავს მოძრაობაში მყოფი სხეულის უძრავ მდგომარეობათა თავმოყრას. ის არ უნდა იყოს გაგებული როგორც ერთ უძრავ მდგომარეობიდან მეორე უძრავ მდგომარეობაში გადასვლა. თვით ამ *გადასვლისადმი* მიმართვა უარყოფით პლანში ძალაუნებურად ადასტურებს *მოძრაობის* ცნების, როგორც ასეთის, გამოყენების აუცილებლობას. ესა თუ ის მდებარეობა მოძრავი სხეულისა სრულებით არ ნიშნავს ამ მდებარეობაში უძრავად ყოფნას. უძრაობა ის კი არ არის, რომ მოძრავ სხეულს გარკვეულ მომენტში გარკვეული ადგილი უკავია, არამედ ის, რომ დრო მიდის, სხეული კი *განაგრძობს* იმავე ადგილზე ყოფნას. უძრაობა არის *ერთსა და იმავე* ადგილას ყოფნა დროის გარკვეულ მონაკვეთში. მოძრაობის „კინემატოგრაფიული“ გაგება თვით კინემატოგრაფის მუშაობას შეუძლებელს გახდიდა. ეს მუშაობა გულისხმობს მოძრაობის ნამდვილ პროცესს. თვით კინემატოგრაფი რომ „კინემატოგრაფიულად“ მუშაობდეს და კინოფირის ყოველ სურათზე განსაკუთრებით *ჩერდებოდეს*, ჩვენ ვერც დავინახავდით მოძრაობას ეკრანზე.

ასევე ცვლადი სიდიდე გულისხმობს მის მნიშვნელობათა ერთიანობას და ის არ უნდა გავიგოთ როგორც მუდმივთა თავმოყრა. ცვლადი მუდმივებზე კი არ დაიყვანება, არამედ თვით მუდმივის ცნება ცვლადის ცნებას საჭიროებს. მუდმივი ცალკე აღებული რიცხვი კი არ არის, არამედ ფუნქციაა, რომელიც დამოუკიდებელი *ცვლადის* სხვადასხვა მნიშვნელობისათვის ერთსა და იმავე

რიცხვობრივ მნიშვნელობას ი ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ს. „ჯამის თვალსაზრისი“ ცვლადისა და მოძრაობის მიმართ ლოგიკურად ყალბ მდგომარეობას ქმნის. ის წარმოადგენს ცვლადი სიდიდისა და მოძრაობის ცნებების მეტაფიზიკურ დამახინჯებას.

ისტორიული პროცესიც იმის ერთიანობას გულისხმობს, რაც იცვლება და ის არ უნდა გავიგოთ როგორც ცვალების პროცესის საფეხურად დაშლა და ამ საფეხურების თავმოყრა. ასეთი „საფეხურებრივი“ მიდგომა ისტორიული პროცესის და, კერძოდ, მათემატიკის ისტორიის მიმართ, უკიდურესობამდე მიყვანილი, გამოთქმული ჰქონდა გერმანელ მკვლევარს შპენგლერს თავის ცნობილ წიგნში „ევროპის აღსასრული“, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გამოვიდა და თავის დროზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

შპენგლერისათვის ისტორია არის არა მიზეზობრიობის, არამედ ბედისწერის სამყარო. ყოველი ისტორიული კულტურა წარმოადგენს აბსოლუტურად თავისებურ და იზოლირებულ რამეს, შეუდარებელს სხვა ისტორიულ კულტურებთან, სრულებით უცხოს და გაუგებარს სხვა კულტურულ-ისტორიულ ფენის წარმომადგენლისათვის. შპენგლერი უარყოფს კულტურული განვითარების თანმიმდევრობას, ერთიანი მსოფლიო ისტორიის შესაძლებლობას. შპენგლერისათვის არ არსებობს, მაგალითად, ერთიანი განვითარებაში მყოფი მათემატიკა. სრულებით სხვადასხვა ისტორიულ განზომილებაშია მოთავსებული ანტიკური, პლასტიკური ჭვრეტითი წარმოდგენა რიცხვზე და რიცხვის დასავლური კონცეფცია, მისი იდეებით სიმრავლეზე, ცვლად სიდიდეზე, ფუნქციაზე და ა. შ. გაუგებარი რჩება, თუ როგორ მოახერხა თვით შპენგლერმა გაეგო ანტიკური მათემატიკის სული, რომელიც მისივე აზრით აბსოლუტურად უცხოა დასავლური კულტურის წარმომადგენელთათვის.

მათემატიკა შეისწავლის ერთ საგანს, ამ საგნის ხასიათი გამოვლინდება მისი ისტორიული განვითარების პროცესში, და არა სხვადასხვა საგანს მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

თუ ისტორიის საფეხურები ერთიმეორისაგან მოწყვეტილია და ერთიმეორის მიმართ სრულებით უცხო, მაშინ არ შეიძლება არამცთუ ლაპარაკი ერთიან მსოფლიო ისტორიაზე, არამედ საერთოდ ისტორიაზე და ცვალებადობაზე ისტორიის გასწვრივ, რადგან თვით ამ ცვალებადობის ცნება იმის ერთიანობას გულისხმობს, რაც იცვლება. გვექნება არა ისტორია, არამედ ერთიმეორისაგან მოწყვეტილ ნაკვეთების თავმოყრა. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ამ ნაკვეთებს ერთიმეორის გვერდით ათავსებენ, რომ, ვთქვათ, ანტიკური მათემატიკის გვერდით ათავსებენ დასავლურ მათემატიკას და არა სხვა რამეს, ვთქვათ თანამედროვე ფილოლოგიას, ძალაუნებურად ადასტურებს, რომ ამ ნაკვეთებს განიხილავენ ერთი ისტორიული ხაზის გასწვრივ, ისე რომ თავისდაუნებურად ანგარიშს უწევენ ერთიან ისტორიულად განვითარებად საგნის არსებობას.

„საფეხურებრივი“ თვალსაზრისი ისტორიული პროცესისადმი ზოგჯერ, მართალია, არ არის აშკარად წამოყენებული, ცნობიერად გათვალისწინებული

პრინციპის სახით, მაგრამ ფაქტიური მიდგომა მათემატიკის ისტორიისა და მისი პერიოდიზაციისადმი ამჟღავნებს ამ თვალსაზრისით ფარულად საქმეში მონაწილეობას. ამას აქვს ადგილი, მაგალითად, მაშინ, როცა მათემატიკის ისტორიას ყოფენ ელემენტარულ და უმაღლეს მათემატიკის პერიოდებად. მათემატიკას განვითარების ყოველ საფეხურზე აქვს თავისი ელემენტარული და უმაღლესი ნაწილები, მაგრამ არ შეიძლება გარკვეული პერიოდის მათემატიკა, მთლიანად აღებული, მიჩნეული იყოს „ელემენტარულ მათემატიკად“. საჭიროა მათემატიკის განვითარების მოცემულ საფეხურს უკანა რიცხვით მიეაზროს ისტორიულად შემდგომი საფეხური, რომ ეს წინა საფეხურის მათემატიკა, თავისთავად, წარმოდგეს როგორც „ელემენტარული მათემატიკა“. გამოდის არა ისტორიულად ერთიმეორის მომდევნო საფეხურები, არამედ ერთიმეორის გვერდით დაყენებული ერთსა და იმავე დონეზე განხილული სხვადასხვა მათემატიკები. ნაცვლად ისტორიული განვითარებისა, გვექნება სტატიკური ხასიათის თავმოყრა სხვადასხვა ნაჭრებისა, ისე რომ აქ თავს იჩენს სწორედ „საფეხურებრივი“ მიდგომა ისტორიის მიმართ. წარსულის მათემატიკა გამოდის როგორც წარსულის პლანში მოცემული თანამედროვე მათემატიკა და წარსულისა და აწმყოს განხილვასთან დაკავშირებით თვითონ მათემატიკა მრავლდება და გვევლინება სხვადასხვა მათემატიკის სახით.

როცა მათემატიკის განვითარების საფეხურებს განიხილავენ როგორც ელემენტარულ მათემატიკას და უმაღლეს მათემატიკას, მაშინ, ნაცვლად ერთიანი მათემატიკის განვითარებისა, გვექნება ორი სხვადასხვა მათემატიკა. მათემატიკის შემდგომი განვითარების გათვალისწინება, ასე ვთქვათ, საერთო ფონის სახით უნდა წაემძღვაროს წინა საფეხურებს, რომ ცალკეული საფეხურების როლი დანახული იყოს მათემატიკის განვითარების საერთო ხაზის გასწვრივ სხვადასხვა ნაკვეთების ამოჭრაში, სხვადასხვა „მათემატიკის“ სახით.

ზემოდასახელებული შეცდომის მსგავს შეცდომას სჩადიან, როდესაც მუდმივი სიდიდის ძირითად როლს ძველ მათემატიკაში, ხოლო ცვლადი სიდიდისა—ახალ მათემატიკაში იმგვარად ახასიათებენ, რომ ძველი მათემატიკა წარმოადგენს „მუდმივ სიდიდეთა მათემატიკას“, ხოლო ახალი დროის მათემატიკა—„ცვლად სიდიდეთა მათემატიკას“, ისე რომ აქაც განსხვავება წარმოდგენილია როგორც თვით მათემატიკის სხვადასხვა ტიპი, როგორც ერთიმეორისაგან განსხვავებული მათემატიკები.

ნამდვილად მათემატიკა შეინარჩუნებს თავის ერთიანობას მაშინაც, როცა ის განიხილავს ცვლად სიდიდეებს, და მაშინაც, როცა ის განიხილავს მუდმივ სიდიდეებს. მუდმივ სიდიდეთა განხილვა არ ნიშნავს მუდმივობის ფორსირებას, ის უკანა რიცხვით არ შეზღუდავს თვით მათემატიკის ხასიათს და არ გადააქცევს მას „მუდმივ სიდიდეთა მათემატიკად“. თვითონ მუდმივი სიდიდის ცნება გულისხმობს ცვლადი სიდიდის ცნების გამოყენებას, რადგან, როგორც ვიცით, მუდმივი სიდიდე არის ფუნქცია, რომლის დამოუკიდებელ ცვლადს ერთი და იგივე რიცხვი ეთანადება. მაგრამ, მიუხედავად თვით ცვლად სიდიდეთა უფართოესი მნიშვნელობისა მათე-

მატიკაში, მათი განხილვაც ხდება საერთო მათემატიკის ჩარჩოებში და ამით თვით მათემატიკა არ გადაიქცევა განსაკუთრებულ მათემატიკად ცვლადი სიდიდეებისა.

მოყვანილი პერიოდიზაციის ნაკლს ისიც წარმოადგენს, რომ მათემატიკა ზოგადად გამოდის, როგორც მეცნიერება სიდიდეთა შესახებ. ეს განსაზღვრება ძალიან ვიწროა. მათემატიკა არის მეცნიერება რაოდენობის შესახებ (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი), ხოლო სიდიდე არის რაოდენობის მხოლოდ გარკვეული სახე. ზემომოყვანილი განსაზღვრების მიხედვით ეს სახე გამოდის გატოლებულად რაოდენობის ზოგადფილოსოფიურ კატეგორიასთან.

ჩვენში ამჟამად ყველაზე გავრცელებულია მათემატიკის პერიოდიზაცია, რომელიც აკადემიკოსს ა. ნ. კოლმოგოროვს ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ ის საინტერესოდ და ჭკუამახვილურად არის მოაზრებული, მაინც არ შეიძლება გაზიარებული იყოს. ამის ძირითადი მიზეზია ის საერთო ხასიათის ნაკლი, რომელსაც შეიცავს პერიოდიზაციის პრობლემისადმი „საფეხურებრივი" მიდგომა. მართალია თვით ა. ნ. კოლმოგოროვი „საფეხურებრივ" თვალსაზრისს, პრინციპული ხასიათის დებულების სახით, აშკარად არ გამოთქვამს, მაგრამ მისი მიდგომა ობიექტურად „საფეხურებრივი" არის. ა. ნ. კოლმოგოროვმა ერთგვარად შეცვალა და განავითარა თავისი პერიოდიზაცია, მაგრამ ამით მას „საფეხურებრივი" ხასიათი არ დაუკარგავს და მისი ზოგადი ნაკლები შერჩა. თვით აღნიშნული შეცვლა გამოწვეულია, როგორც ჩანს, ავტორის მიერ პირველ ვარიანტში გარკვეული ნაკლების დანახვით. მაგრამ ეს ნაკლები ნამდვილად პერიოდიზაციის სპეციალურ განხორციელებასთან იმდენად დაკავშირებული არაა, რამდენადაც საერთოდ „საფეხურებრივი" მიდგომის მიუღებლობასთან, ხოლო უკანასკნელს ინაწილებს გაუმჯობესებული ვარიანტიც. „საფეხურებრივ" მიდგომასთან ისიც არის დაკავშირებული, რომ პერიოდიზაცია მოხდენილია არა რაიმე ერთიანი პრინციპის მიხედვით, არამედ კონკრეტულ მათემატიკურ კონცეფციათა, სისტემათა, მიდგომათა და სხვ. მიმდევრობის აღწერილობითი დახასიათებით.

მათემატიკის ისტორიის კოლმოგოროვისეული პერიოდიზაცია პირველად მოცემული იყო მის სტატიაში „Математика", რომელიც მოთავსებულია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ გამოცემაში [1].

კოლმოგოროვს საჭიროდ მიაჩნია მათემატიკის საგნის ენგელსის მიერ მოცემული ცნობილი განსაზღვრება (მათემატიკა, როგორც მეცნიერება სინამდვილის რაოდენობით მიმართებათა და სივრცითი ფორმების შესახებ) კონკრეტიზებული იყოს მათემატიკის ისტორიული განვითარების ეპოქების მიხედვით, ხოლო ეს კონკრეტიზაცია გაგებულია როგორც წამოყენება ამ ეპოქებისათვის მათემატიკის საგნის კერძო განსაზღვრებებისა. მე-17 საუკუნემდე მათემატიკის საგანი იყო რიცხვი, სიდიდე და გეომეტრიული ფიგურა, მე-17—18 საუკუნეებში მათემატიკა წარმოდგება როგორც მეცნიერება სიდიდის ცვალებადობის და გეომეტრიული გარდაქმნების შესახებ, და, ბოლოს, მე-19—20 საუკუნის მათემატიკა შეისწავლის სინამდვილის რაოდენობით და სივრცით ფორმებს მთელი მათი ზოგადობით.

მათემატიკის საგნის ზოგადი განსაზღვრება გამოდის როგორც სქემა, რომელშიც ჩაისმება მათემატიკის საგნის სხვადასხვა კონკრეტული განსაზღვრებანი ეპოქისაგან დამოკიდებულებით. ამგვარად, კონკრეტული შინაარსის მხრით გვექნება მათემატიკის საგნის არა ერთი, არამედ რამოდენიმე განსაზღვრება. ნამდვილად მათემატიკის განვითარების სხვადასხვა საფეხურები, ამ საფეხურების განსხვავებულობა არ ნიშნავს თვით საკვლევ საგნის განსხვავებულობას. მათემატიკის განვითარების სხვადასხვა საფეხურები არ იწვევს დანაწევრებას რაოდენობის ცნებისა, რომელიც საერთოდ მათემატიკის საგნის დამახასიათებელია.

რაოდენობა წარმოადგენს გარკვეულ ფილოსოფიურ კატეგორიას, რომელიც თანაფარდობითია თვისობრივობის კატეგორიასთან. რაოდენობა, თვისობრივობასთან დაპირისპირებით, გამოთქვამს საგნების ერთგვარ გარეგან გარკვეულობას. რაოდენობის ცნება განისაზღვრება ფილოსოფიურ ტერმინებში, იმ დროს როცა რაოდენობის სათანადო სახეები თავის დახასიათებას ღებულობს მათემატიკის ფარგლებში. რაოდენობის სახეები განუყრელად დაკავშირებულია რაოდენობის ზოგად კატეგორიასთან, მაგრამ, ამასთანავე, მისგან მკაცრად გარჩეული უნდა იყოს. რაოდენობის ზოგად ცნებაში არ უნდა იყოს შეტანილი რაოდენობის რაიმე მათემატიკური ნიშანი. ასეთი შეტანა იმის გამომხატველი იქნებოდა, რომ რაოდენობის გარკვეული სახის ფიქსირება შეფასებულია როგორც რაოდენობის ზოგადი განსაზღვრების გაგრძელება და „კონკრეტიზაცია". ნამდვილად კი რაოდენობის სახეები რაოდენობის ზოგად ცნებას კი არ შემოფარგლავენ, არამედ ეს სახეები გვაქვს რაოდენობის ზოგადი ცნების ჩარჩოებში. რაოდენობის ზოგადი ცნების მის ამა თუ იმ სახესთან გატოლება ენათესავება მათი ერთიმეორისაგან მოწყვეტას, რადგან გამოვა, რომ რაოდენობის ესა თუ ის სახე რაოდენობის ზოგად ცნებას აუქმებს და მის მაგივრობას წევს.

რაოდენობის სხვადასხვა სახის განხილვით მათემატიკას საქმე აქვს რაოდენობის ზოგად კატეგორიასთან და ეს კატეგორია არის მათემატიკის საგნისათვის დამახასიათებელი. მაგრამ უკანასკნელი გარემოება სრულებით არ ხდის მათემატიკას ფილოსოფიურ მეცნიერებად. მათემატიკა სწავლობს რაოდენობას არა სხვადასხვა კატეგორიათა სისტემაში, არამედ რაოდენობის, როგორც ზოგადის, ფარგლებში განიხილავს მის სხვადასხვა სახეს. ის გარემოება, რომ მათემატიკას საქმე აქვს რაოდენობის კატეგორიასთან, ლაპარაკობს მათემატიკის ფილოსოფიასთან კავშირის, და არა მათემატიკის ფილოსოფიისადმი კუთვნილების სასარგებლოდ.

რაოდენობის სახეების განსაზღვრება დამოკიდებულია მათემატიკის ამა თუ იმ დონეზე. რაც უფრო განვითარებულია მათემატიკა, მით რაოდენობის მათემატიკურ სახეებს უფრო განზოგადოებული ხასიათი აქვთ. მაგრამ პრინციპულად შეუძლებელია რაოდენობის ამა თუ იმ მათემატიკურმა სახემ დაფაროს რაოდენობის ზოგადი კატეგორია. ეს ჩვენი ცოდნის თითქოს შეზღუდულობის მიზეზით კი არა, არამედ იმის გამო, რომ რაოდენობის ფილოსოფიური კატეგორია, მართალია, მათემატიკის საგანს განსაზღვრავს, მაგრამ ამ საგნის

შიგნით არ არის მოთავსებული, როგორც მისი ერთადერთი რეალიზაცია და ა. შ.; რაოდენობის მათემატიკური სახეები კი გვაქვს სწორედ რაოდენობის ცნების შიგნით და მისი ფარგლებით არის შემოსაზღვრული.

როცა მათემატიკის საგანს მიუაზრებენ რაოდენობის ამა თუ იმ კონკრეტულ სახეს და მას ამ სახის ჩარჩოებში ხედავენ, მაშინ სხვადასხვა სახეებთან დაკავშირებით გამოდის მათემატიკის საგნის მრავლობა. გვექნება ამ საგნის მიმართ „საფეხურებრივი“ მიდგომა.

მათემატიკის განვითარების სხვადასხვა საფეხურები არ იწვევენ რაოდენობის ზოგადი ცნების დანაწევრებას. არ შეიძლება ვილაპარაკოთ მათემატიკის განვითარების ისეთ ისტორიულ საფეხურზე, რომელზედაც რაოდენობის მათემატიკური ცნება უკვე გამოხატავს სინამდვილის რაოდენობით ფორმებს მთელი მათი ზოგადობით, და, მაშასადამე, შეცვლის რაოდენობის ფილოსოფიურ კატეგორიას. ამ შემთხვევაში გამოვა, რომ მათემატიკამ უნდა გამოიკვლიოს რაოდენობა, როგორც გარკვეული ფილოსოფიური კატეგორია, ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში და უკვე მათემატიკასთან კი არ გვექნება საქმე, არამედ ფილოსოფიასთან. მათემატიკის განვითარების საფეხურები არ მოითხოვს „საფეხურებრივ“ მიდგომას თვით განვითარების ერთიან პროცესისადმი, მის წარმოდგენას საფეხურებად დაშლილი სახით.

მათემატიკის ისტორიის „საფეხურებრივი“ გაგება კოლმოგოროვთან დაკავშირებულია მეცნიერული აბსტრაქციის ისტორიული განვითარების „საფეხურებრივ“ გაგებასთან. ამ მხრივ საყურადღებოა ანტიკური აზროვნების კოლმოგოროვისეული დახასიათება. ა. ნ. კოლმოგოროვი ფიქრობს, რომ ანტიკური მეცნიერებისათვის უცხო იყო ცნების რეფლექსია საკუთარი თავის მიმართ, მაგალითად განხილვა ცნების შესახებ ცნებისა, იდეის იდეისა და სხვ. ამ საერთო მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ ძველი ბერძნები ვერ მივიდნენ ირაციონალური რიცხვის აღმოჩენამდე. ა. კოლმოგოროვი ეხება პლატონის მოძღვრებას იდეათა შესახებ და წერს:

„შეატრიალა რა ნამდვილი ვითარება, პლატონი თვლიდა რიცხვებს და გეომეტრიულ ფორმებს საწყის არსებად, რომელთადმი მიზიარებით მატერია ღებულობს სხვადასხვა ფორმას. რადგან თვით იდეები აბსოლუტური და დამოუკიდებელია, ამიტომ იდეების შესახებ იდეებს პლატონი უკვე არ აკუთვნებს დამოუკიდებელ არსებობას (იხ., მაგალითად, პარმენიდი, 132, $A—B$) და სწორედ მხოლოდ ამ ფორმაში (იდეათა შესახებ იდეის) შეეძლოთ მოენახათ თავისი ადგილი პლატონურ ფილოსოფიის ჩარჩოებში ნამდვილ რიცხვებს მთელი მათი ზოგადობით (ე. ი. ირაციონალურ რიცხვთა ჩათვლით)“ [1, გვ. 387].

ნამდვილად იდეის აბსოლუტური ხასიათი პლატონთან მოითხოვს დამოუკიდებელ არსებობას ამა თუ იმ ი დ ე ი ს, კერძოდ ი დ ე ი ს ა იდეის შესახებ, რომელიც აგრეთვე წარმოსდგება ჰიპოსტაზირებული, განხეულისებრივი სახით (სხვა საკითხია, რომ ამასთან დაკავშირებით გამოვლინდება იდეათა თეორიის დაუძლეველი სიძნელეები). შეიძლება მეტის თქმაც. იდეის პირველადობის ცნობიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ იდეათა შესახებ იდეა უნდა არსებობდეს კიდევ მეტი ძალით, ვიდრე ცალკე იდეები. ამასთან დაკავშირე-

ბით შეიძლება გავიხსენოთ არისტოტელის შემდეგი კრიტიკული მოსაზრება მიმართული პლატონის იდეათა თეორიის წინააღმდეგ: „შემდეგ, არა მარტო გრძნობებით აღქმულ საგნებისათვის არიან იდეები დედნები, არამედ თვით მათთვის, მაგალითად, გვარი, როგორც გვარი, სახეებისათვის; ისე რომ ერთი და იგივე იქნება დედანიცა და ასლიც (სხვა დედანისა)" [2]. ეს არგუმენტი ობიექტურად ლაპარაკობს იდეალიზმის წინააღმდეგ. თუ იდეა წინ უსწრებს საგანს, რომელსაც ის ნამდვილად უნდა ასახავდეს, მაშინ უფრო საწყისი, ვიდრე აღებულ საგანზე იდეა, იქნება იდეა ამ იდეის შესახებ და ა. შ.

იდეა იდეის შესახებ არამცთუ უცხოა პლატონის ფილოსოფიისათვის, არამედ მასში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამისათვის საკმარისია მივუთითოთ ცნებების პლატონისეულ პირამიდაზე, სიკეთის ცნების მნიშვნელობაზე პლატონის ფილოსოფიაში და სხვ.

ადგილი „პარმენიდიდან", რომელზედაც მიუთითებდა ა. კოლმოგოროვი, არის გადაცემა არგუმენტისა „მესამე ადამიანი" (იხ. აგრეთვე 133 *A*), რომელსაც შემდეგ არისტოტელიც იყენებდა და რომელიც, თავისი ობიექტური ძალით, მიმართულია იდეალიზმის წინააღმდეგ. ამ არგუმენტის შინაარსი ასეთია: თუ რაიმე იდეა, მაგალითად ადამიანისა, არსებობს მისი ცალკეულების, ჩვენს შემთხვევაში ცალკეულ ადამიანების, გარეშე, მაშინ ახალი ზოგადი, ახალი გვარი დაგვჭირდება „მესამე ადამიანის" სახით, რომლის ცალკეულები იქნებიან როგორც ცალკე ადამიანები, ისე ცალკეული ეგზემპლიარის სახით წარმოდგენილი ზოგადი „ადამიანი"; ის იქნება საერთო საზომი ამ ცალკეულების ერთად აღებისათვის. მაგრამ ეს მესამე ადამიანი კვლავ გამოიყოფა ცალკეული ეგზემპლიარის სახით და უკვე საჭირო გახდება „მეოთხე ადამიანი" და ასე შემდეგ უსასრულოდ.

არგუმენტი „მესამე ადამიანი", თავისი ობიექტური მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზნით იყენებდა მას პლატონი, მიმართულია საერთოდ იდეის ჰიპოსტაზირების წინააღმდეგ და არ შეიძლება იმის დამადასტურებლად გამოდგეს, რომ ეს ჰიპოსტაზირება პლატონთან შეეხება მხოლოდ იდეას და არა იდეას იდეის შესახებ (იდეის ჰიპოსტაზირებისას საჭირო გახდება ჯერ მოთხოვნა იდეის შესახებ იდეის ჰიპოსტაზირებისა და ა. შ.—გვარად ცალკეულ ადამიანებისათვის და ჰიპოსტაზირებულ „ადამიანისათვის" იქნება „მესამე ადამიანი", რომელსაც დასჭირდება „მეოთხე ადამიანი" და ასე შემდეგ).

არგუმენტს „მესამე ადამიანი" აქვს ნეგატური ხასიათი და ის სრულებით არ ადგენს დადებითი სახით იდეის ჰიპოსტაზირების საზღვარს. მითითება იდეაზე იდეის შესახებ (გვარი ადამიანის იდეის და ცალკე ადამიანების მიმართ) არგუმენტში „მესამე ადამიანი" კეთდება არა იმავე იდეის შესახებ იდეის მოცილების მიზნით, არამედ იმისათვის, რომ უარყოფილი იყოს (არგუმენტის მართებულ გამოყენებისას) ჰიპოსტაზირებული გაგება საერთოდ იდეისა.

საყურადღებოა, რომ უსასრულობის პრობლემის განხილვისას ძველი ბერძნები იყენებდნენ სწორედ იმ ლოგიკურ სვლებს, რომლის შესაძლებლო-

ბას მათთვის საეჭვოდ ხდის ა. კოლმოგოროვი. ამის ერთერთი მაგალითია თვითონ პლატონის „პარმენიდიდან“ მოყვანილი ადგილი. პლატონი თავისებურად იყენებს არგუმენტს „მესამე ადამიანი“ რიცხვთა უსასრულო მიმდევრობის მისაღებად. გამოდის, რომ ყალბი მდგომარეობა, რომელსაც სათანადო მიდგომისათვის გამოავლენს არგუმენტი „მესამე ადამიანი“, ერთგვარად მოქმედობს დადებით ასპექტში და იწვევს იმას, რომ ერთიანი ქმნის მრავალს. აქ პლატონი სარგებლობს ისეთი ცნებით როგორიც არის არსებობის არსებობა. ამას ყურადღებას აქცევს რასელი [3,4] და პლატონის მსჯელობის მსვლელობას ადარებს იმ როლს, რომელსაც რიცხვთა უსასრულობის მისაღებად დედეკინდთან ასრულებს ცნების ცნება, ხოლო ბოლცანოსთან ჭეშმარიტება ჭეშმარიტების შესახებ.

შეიძლება მოყვანილი იყოს რიგი მაგალითებისა, რომელიც ლაპარაკობს ანტიკური აზროვნების და ანტიკური მეცნიერების ჩვენს მიერ გაკრიტიკებული გაგების წინააღმდეგ. თვითონ პლატონთან ჩვენ ვხვდებით ცნებებს: ცოდნა ცოდნის შესახებ (დიალოგში „ხარმიდი“), ასლის ასლი (ადამიანების მხატვრული მოღვაწეობის კრიტიკის მიზნით „რესპუბლიკაში“). შეიძლება მითითებული იყოს ფილოსოფირების სოკრატისებური მანერისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელ ცნებაზე არცოდნის ცოდნისა, როლზე არისტოტელის ფილოსოფიისათვის „ფორმის ფორმის“ ცნებისა, დროის დახასიათებაზე ეპიკურესთან როგორც „თვისების თვისებისა“ და სხვ. ყველა ეს, მნიშვნელოვანი ანტიკური მეცნიერებისათვის, მაგალითები ადასტურებენ, რომ ცნების რეფლექსია საკუთარი თავის მიმართ სრულებით არ არის უცხო ანტიკური აზროვნებისათვის და სპეციფიკური მხოლოდ ახალი დროის მეცნიერული აზროვნებისათვის.

ა. ნ. კოლმოგოროვის ზემომოყვანილი გამონათქვამის შესახებ შეგვიძლია აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგი: ნათქვამია, რომ პლატონი თვლიდა რიცხვებს და გეომეტრიულ ფიგურებს პირველად არსებებად—იდეებად. მართალია, როგორც ცნობილია, პლატონი სიბერეში იმ აზრამდე მივიდა, რომ განევითარებია იდეათა სამყარო როგორც რიცხვთა სისტემა, მაგრამ პლატონისათვის ყველაზე დამახასიათებელია მათემატიკური საგნებისათვის გარდამავალი ადგილის მიკუთვნება იდეებსა და გრძნობად საგნებს შორის [2, წიგნი I, თავი 6, გვ. 26].

ა. ნ. კოლმოგოროვის სტატიაში, მეორე ადგილას, კიდევ უფრო მეტად გამოვლინდება მათემატიკის ისტორიისადმი „საფეხურებრივი“ მიდგომა, რამდენადაც აქ მათემატიკის განვითარების საფეხურები დაკავშირებულია აბსტრაქციის ორ საფეხურთან, ხოლო თვით ეს სისტემა საფეხურებისა გამოდის შრეებად დაყოფილი სახით და დაკავშირებულია ფორმის ფენებად დაშლასთან. მეორე საფეხური შეფასებულია ისე, რომ „არსებული ქვეყნის ფორმათა და მიმართებათა სისტემა თვითონ განიხილება თავისი ფორმის მხრით“. აღნიშნულია, რომ აბსტრაქციის შემდგომი საფეხურები უკვე არ წარმოადგენენ რაიმე პრინციპულად ახალს [1, გვ. 387].

აქ საქმე გვაქვს ზოგადლოგიკურ პლანში ფორმის ფენებად დაშლასთან: ფორმად და ფორმის ფორმად. შეგვიძლია გავიხსენოთ აგრეთვე მსგავსი თვალსაზრისი ლასკისა—მასალისა და ფორმის დამოკიდებულების შესახებ. ლოგიკურ მომენტად გამოდის ფორმა, რომელსაც ალოგიკური მომენტის სახით ეპირისპირება მასალა. ხდება მასალის „დაფარვა“ ფორმით. ლასკის დუალისტურ სქემაში, რომელიც დაკავშირებულია ფორმისა და მასალის ორადობასთან, გრძნობადი სამყაროს ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულ მასალას წარმოადგენს, კვლავ უნდა იყოს გაფორმებული. ფორმის ფორმის განხილვა ლოგიკის ფილოსოფიის ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული პროცესის გაგრძელების საჭიროებას, თვით ფორმის ფორმის გაფორმების სახით, ლასკი მოხსნის იმაზე მითითებით, რომ აქ არაფერი ახალი არ გვექნება შედარებით ფორმის ფორმასთან [5].

ლასკთან ფორმა მოწყვეტილია მასალას და დარღვეულია მათი ერთიანობა და ამის შემდეგ დაგვიანებული გამოვა მათი დაკავშირება მასალის ფორმით „დაფარვის“ საშუალებით. მასალა, იმისათვის რომ დაიფაროს ფორმით, რაღაც სახით უნდა მონაწილეობდეს და ამიტომ ადრევე მოითხოვს ფორმით „დაფარვას“ და ა. შ. როცა ფორმას შინაარსს აშორებენ, მაშინ ფორმის ჰიპოსტიზირება ხდება, თვით ის გამოდის ერთგვარი მასალის სახით და ადრევე წარმოიშვება საჭიროება მას დაედვას „ფორმა“ და ა. შ. ლასკის მითითება, რომ შემდგომი საფეხურები მეორის შემდეგ არაფერს ახალს არ იძლევა, მიზანს ვერ აღწევს, რადგან ამ შემთხვევაში ნამდვილად გვაქვს არა დადებითი მიმდევრობა ფორმის საფეხურებისა, არამედ უსასრულობაში რეგრესით გამოხატული ლოგიკურად ყალბი მდგომარეობა, რომელსაც იწვევს ფორმის მოწყვეტა მასალისაგან. ჩვენ ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ვიქნებით ფორმას წავუმძღვაროთ ფორმის ფორმა და ა. შ. უსასრულოდ. თვითონ სურვილი ამ რეგრესის „შეჩერებისა“ ადასტურებს მის აუცდენლობას სათანადო თვალსაზრისისათვის.

ლოგიკურად ყალბი მდგომარეობა იქმნება, როცა, იმის ნაცვლად, რომ თავიდანვე ფორმის ცნება თავისი ზოგადი მნიშვნელობით იყოს გაგებული, ამ მნიშვნელობას ზღუდავენ იმ შემთხვევების მიაზრებით, რომლების მიმართ ის წინათ გამოყენებული იყო; ამასთან დაკავშირებით ლაპარაკობენ „ჩვეულებრივ“ ფორმების შესახებ, იმისათვის, რომ საჭირო შეიქნეს მათზე „ფორმის ფორმის“ დაფენვა და ა. შ. ნამდვილად, თუ ფორმის ცნებას უფრო გაფართოებულ პირობებში იყენებენ, მაშინ „ჩვეულებრივ“ ფორმებად უკვე ეს შემთხვევები გადაიქცევა და ასეთებად მხოლოდ წინა შემთხვევები არ დარჩებიან. გადასვლა უფრო განზოგადებულ ფორმებზე ფორმის ერთიანი ცნების ფარგლებში ხდება, და საქმე არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ფ ო რ მ ი დ ა ნ ფორმის ფორმაზე გადასვლა და დავუკავშიროთ ფორმის ფენებად დაშლას. ფორმა თანაფარდობითია შესაბამის შინაარსთან. თუ ჩვენ ისეთი შინაარსის ფორმაზე ვლაპარაკობთ, რომელიც თვითონ არის რაღაც სხვა შინაარსის მიმართ ფორმა, აქაც ფორმის ცნება ერთიანი აზრით გამოიყენება. საქმე გვაქვს

გარკვეული შინაარსის ფორმასთან და არა თავის თავად აღებულ „ფორმის ფორმასთან“.

წინათ უკვე აღნიშნული იყო, რომ აკადემიკოს ა. ნ. კოლმოგოროვის მეორე სტატიაში „მათემატიკა“, რომელიც მოთავსებულია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემაში [6], ერთგვარად შეცვლილია მათემატიკის ისტორიის პერიოდიზაცია, მიღებული პირველ სტატიაში, მაგრამ შენარჩუნებული რჩება მათემატიკის ისტორიის მიმართ „საფეხურებრივი“ მიდგომა.

განიხილება პერიოდები: მათემატიკის ჩასახვის, ელემენტარული მათემატიკის, ცვლად სიდიდეთა მათემატიკის და თანამედროვე მათემატიკის. აქ არ არის პერიოდიზაციის ერთიანი პრინციპი და თვით ისტორიული პროცესი მათემატიკის განვითარებისა წარმოსდგება ფენებად დაშლილი სახით. მართლაც, პირველი და მეოთხე პერიოდი, ყოველ შემთხვევაში მათი სახელწოდებით გამოთქმული საერთო ფორმულა, დაკავშირებულია მხოლოდ ქრონოლოგიური მომენტის გათვალისწინებასთან და ერთიანი სახით (თავისი ფორმულირების მიხედვით) შეიძლება ყოველი მეცნიერებისათვის გამოყენებული იყოს. ამავე დროს, ბოლო საფეხური არ შეიძლება გამომხატველი იყოს მათემატიკის ისტორიის რაიმე შინაგანი გარკვეულობის მქონე პერიოდისა, რადგან ტერმინი „თანამედროვე“ მიმდინარე და განუსაზღვრელია და დღევანდელი დღე ხვალ გუშინდელ დღედ იქცევა. საჭირო ხდება ტერმინის „თანამედროვე“ გაშიფრვა და მითითება მისით წარმოდგენილი ისტორიის მონაკვეთის გავრცობაზე. ამასთანავე შეიძლება დაისვას საკითხი: შესაძლებელია თუ არა მათემატიკის ჩასახვა შეფასებული იყოს როგორც მათემატიკის განვითარების გარკვეული ისტორიული პერიოდი?

მეორე და მესამე პერიოდი უკვე სხვა საფუძველს ემყარება, დაკავშირებულია დღევანდელი მათემატიკის აგებულებასთან, ყოველ შემთხვევაში მათემატიკის სწავლების პლანში (ელემენტარული და უმაღლესი მათემატიკა). ჩვენ აქ არ გვაქვს მათემატიკის ისტორიის პერიოდიზაცია გარკვეული, ისტორიული ვითარებისადმი მიმართული, ერთიანი პრინციპის მიხედვით და ცალკე პერიოდები გამოდიან ცალკე ფენების სახით. ეს დასტურდება იმითაც, რომ ერთერთ პერიოდად გამოდის ელემენტარული მათემატიკა. ჩვენ ზევით უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მათემატიკის განვითარების ამა თუ იმ ეტაპისათვის შეგვიძლია ვილაპარაკოთ მის „ელემენტარულ“ და „უმაღლეს“ ნაწილებზე, მაგრამ ელემენტარული მათემატიკა არ შეიძლება წარმოდგეს როგორც გარკვეული პერიოდი მათემატიკის განვითარების საერთო პროცესისა. არ შეიძლება თანამედროვე მათემატიკის განსხვავებულ ნაწილებში დავინახოთ მათემატიკის ისტორიული განვითარების განსხვავებული ეტაპები და მოვათავსოთ ეს ეტაპები ერთიმეორის გვერდით თანამედროვე მათემატიკის სისტემის გასწვრივ. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ „საფეხურებრივ“, „კინემატოგრაფიულ“ მიდგომას მათემატიკის განვითარების პროცესისადმი, რომელიც არ შეეფერება თვითონ განვითარების ცნებას და რაზედაც ზემოთ უკვე საკმაოდ იყო ლაპარაკი. მათემატიკის განვითარების ისტორიულ პროცესს სწორედ მივყევართ თანამედროვე მათემატიკისაკენ, და არა თანა-

მეღროვე მათემატიკა უკანა რიცხვით განაწილდება მათემატიკის ისტორიის სივრცეზე.

ზემოთ მოცემული იყო კრიტიკული განხილვა მათემატიკის პერიოდიზაციის ზოგიერთი არსებული თეორიისა. ახლა შევეცდებით ვაჩვენოთ თუ რა გზით შეიძლება დადებით პლანში გადაწყდეს მათემატიკის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი. მათემატიკა, შედარებით ყველა სხვა სპეციალურ მეცნიერებასთან, განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, კერძოდ თავისი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხის დასმის მხრით. ყველა დანარჩენი მეცნიერებანი შეისწავლიან სინამდვილის ამა თუ იმ ნ ა წ ი ლ ს. მათემატიკა კი შეისწავლის სინამდვილის გარკვეულ, სახელდობრ რაოდენობით, მ ხ ა რ ე ს, რომელიც, ამა თუ იმ ფარგლებში, აქვს სინამდვილის ყოველ ნაწილს. დანარჩენ მეცნიერებათათვის თვით საკვლევი საგანი, მასში შემავალი ნაწილების თანმიმდევრობით, ისტორიული განვითარების ხაზით, ერთნაირად აადვილებს მეცნიერების პერიოდიზაციის დადგენას, რადგან უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ის, რაც თავის განვითარების მხრით უფრო მარტივია, უფრო ადრე ხდება კვლევა-ძიების საგანი. ყოველ შემთხვევაში თვით საგნის ისტორიული განვითარების გათვალისწინება ერთგვარად ხელს უწყობს მისი შემსწავლელი მეცნიერების განვითარების საფეხურების დადგენას. მათემატიკისათვის ასეთი გზა დახურულია, რადგან აქ ლაპარაკი არ შეიძლება მისი ობიექტურად არსებული საგნის—რაოდენობის ი ს ტ ო რ ი უ ლ განვითარებაზე, ხოლო ის განვითარება, რომელსაც სათანადო ლოგიკური წყობა გამოსახავს, ვერ გამოდგება დასაყრდენად მეცნიერების ისტორიის პერიოდიზაციის დადგენისათვის.

სამაგიეროდ, ამასთან ერთად, მათემატიკა, სხვა სპეციალურ მეცნიერებებთან შედარებით, განსაკუთრებულ მდგომარეობაშია მისი ლოგიკასთან და ფილოსოფიასთან დამოკიდებულების მხრით. მათემატიკის საგანი თვით დახასიათებულია გარკვეული ფილოსოფიური კატეგორიის, სახელდობრ რაოდენობის საშუალებით. მათემატიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვა ფილოსოფიური კატეგორიებიც, მაგალითად სიმრავლე, უსასრულობა. მათემატიკაში განსაკუთრებით გამახვილებულია საკითხი მისი თეორიებისა და დამტკიცებების ლოგიკური წყობის შესახებ. მათემატიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით ლოგიკის ფორმალური აპარატის დახასიათებისათვის. არცერთ მეცნიერებაში ისე ფართოდ და გამოყოფილად არ დგას საკითხი დაფუძნების პრობლემების დამუშავების შესახებ როგორც მათემატიკაში. მათემატიკაში განსაკუთრებულის პირდაპირობით და მკაფიობით გამოჩნდება კავშირი მეცნიერების საგნისადმი მიდგომისა და ამ მეცნიერებაში გაშლილ ლოგიკური პროცესებისადმი მიდგომას შორის. ყველაფერი ეს გვაიშნებს, რომ მათემატიკის ისტორიის პერიოდიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს განსხვავებას აზროვნების ხერხთა შორის.

მათემატიკური ანალიზის მაგალითზე მარქსი გვიჩვენებს ღრმა შინაგან კავშირს მათემატიკის საგნის მეტაფიზიკურ გაგებისა და სათანადო ლოგიკური პროცესისადმი ფორმალისტურ მიდგომას შორის და აგრეთვე დიალექტი-

კურ მიდგომებს შორის მათემატიკის საგნისა და მათემატიკაში გამოყენებულ ლოგიკური დასკვნებისადმი.

იმ განსხვავების მხრით, რასაც მარქსი ხედავს მათემატიკის მეთოდოლოგიის განვითარებაში, პირველ რიგში დასახელებული უნდა იყოს „გამონთავისუფლების“ და განვითარების მეთოდების დაპირისპირება. ეს დაპირისპირება ნაჩვენებია ფუნქციის წარმოებულის მიღების მაგალითზე. „გამონთავისუფლების“ მეთოდი დაკავშირებულია ცვლადი სიდიდის მეტაფიზიკურ გაგებასთან, განვითარების მეთოდი კი—მის დიალექტიკურ გაგებასთან. ცვლადი წარმოადგენს ერთერთ გამოვლენას იგივეობისა და სხვაობის ერთიანობისა. ერთიდაიგივე ცვლადი სიდიდე წარმოგვიდგება სხვადასხვა მნიშვნელობების სახით. ეს მნიშვნელობანი ცვლადის ადგილს კი არ იკავებენ ან მის შეჩერებას კი არ იწვევენ, არამედ ცვლადი, როგორც ასეთი, განუყრელად დაკავშირებულია ამ მნიშვნელობებთან. ცვლადი სიდიდის დიალექტიკური ხასიათის გათვალისწინებით, მარქსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცვლადის ნაზრდისადმი სწორ მიდგომას. ნაზრდი უნდა იყოს შედეგი ცვლადის ახალი მნიშვნელობის შედარებისა ძველ მნიშვნელობასთან; იღებენ x ცვლადის ახალ მნიშვნელობას x_1 და განიხილავენ ნაზრდს Δx, როგორც სხვაობას x_1-x.

სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს, როცა თავიდანვე იღებენ „ნაზრდს“ და მხოლოდ შემდგომში, თვითონ ნაზრდის საშუალებით, ცვლადის ძველი მნიშვნელობისათვის მისი დამატებით, ცდილობენ პირველად მიიღონ ცვლადის ახალი მნიშვნელობა. აქ ცვლადი მთლიანობას კარგავს, გვევლინება ცალკეულად აღებულ მნიშვნელობათა თავმოყრის სახით; ცვლადი სიდიდის ნაცვლად გვექნება ჯამი შეჩერებულ მდგომარეობაში მყოფ მისი მნიშვნელობებისა. მივიღებთ „ჯამის თვალსაზრისს“, რომელიც გამოხატავს ცვლადი სიდიდის მეტაფიზიკურ დამახინჯებას. ამ თვალსაზრისს უპირისპირდება ცვლადი სიდიდისადმი სწორი დიალექტიკური მიდგომა, რომელსაც ეწოდება, აღებულ სიტუაციასთან გამოყენებით, „სხვაობის თვალსაზრისი“. „x_1 არის თვით გაზრდილი x, მისი ზრდა განუყოფელია მისგან. x_1 არის მისი ზრდის სრულებით განუსაზღვრელი ფორმა; ეს ფორმა ანსხვავებს გაზრდილ x-ს, სახელდობრ x_1-ს, მის საწყის ფორმისაგან გაზრდამდე, x-გან, მაგრამ არ ანსხვავებს x-ს თვით მის ნაზრდისაგან. დამოკიდებულება x_1 და x შორის შეიძლება ამიტომ გამოსახული იყოს მხოლოდ უარყოფითად, როგორც სხვაობა, როგორც x_1-x. პირიქით $x_1=x+\Delta x$-ში 1) სხვაობა გამოხატულია დადებითად, როგორც x-ის ნაზრდი, 2) მისი ზრდა ამიტომ გამოსახულია არა როგორც სხვაობა, არამედ როგორც ჯამი თვითონ მისი, საწყის მდგომარეობაში პლიუს მისი ნაზრდი“ [7].

ნათქვამთან დაკავშირებით გამოვლინდება კავშირი ჯამისა და სხვაობის თვალსაზრისების დაპირისპირებისა მარქსის მათემატიკურ კონცეფციაში აგრეთვე ძირითად მნიშვნელობის მქონე „გამონთავისუფლების“ და განვითარების მეთოდების დაპირისპირებასთან.

ჯამის თვალსაზრისში ცვლადის ახალ მნიშვნელობას ადრევე მიუაზრებენ იმ ნაზრდს, რომელიც ნამდვილად მიიღება მხოლოდ ამ მნიშვნელობის ძველ

მნიშვნელობასთან შედარების შემდეგ; ახალი მნიშვნელობა თავიდანვე წარმოდგენილია დანაწევრებული სახით. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ნამდვილად შეადგინონ ნაზრდი, უხდებათ მისი, როგორც უკვე მზა სახით წარმოდგენილისა ცვლადის ახალ მნიშვნელობაში, მხოლოდ „გამონთავისუფლება". „გამონთავისუფლების" და განვითარების მეთოდებს შორის განსხვავების ილუსტრაციას მარქსი ახდენს ფუნქციის წარმოებულის მიღების მაგალითზე. მარქსის მსჯელობანი შესრულებულია მათემატიკის სულ სხვა ეპოქის ფონზე, ვიდრე ის, რომელთანაც ამჟამად გვაქვს საქმე. ჩვენ აქ არ აღვადგენთ იმ ფორმას, რომლითაც წარმოდგენილია მარქსის გამონათქვამები, და შევეცდებით თანამედროვე მათემატიკის ტერმინებში გადავცეთ მათი საერთო სული.

განვიხილოთ ფუნქციის $y=x^2$ წარმოებულის გამოყვანა. ფუნქციისა და არგუმენტის ნაზრდების შეფარდებას ექნება სახე $\frac{\Delta y}{\Delta x}=2x+\Delta x$. თუ წარმოებულს y', რომლისკენაც უნდა მივიდეთ Δx-ის ნულისაკენ მოძრაობასთან დაკავშირებით, მივიღებთ Δx-ის უკუგდებით, მაშინ გამოვა, რომ ადრევე ვსარგებლობთ მზა შედეგით $2x$ და, ამასთან დაკავშირებით, ვიცით, რომ დანარჩენი ნაწილი, ე. ი. Δx, უკვე ზედმეტია და ამიტომ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას. ეს, თავის მხრით, უპასუხებს Δx-ის გაგებას, როგორც აქტუალურ უსასრულოდ მცირის, ე. ი. სიდიდის, რომელიც ერთდროულად შეიძლება მიჩნეული იყოს ნულად და ნულისაგან განსხვავებულადაც. ამ შემთხვევაში შედეგი $2x$ უსწრებს მის მიღებას, თვითონვე მონაწილეობს ამ მიღებაში და მიღება შედეგისა მდგომარეობს მხოლოდ მის „გამონთავისუფლებაში", მზა შედეგის გამოცალკევებაში სათანადო გარემოცვისაგან.

ეხება რა წარმოებულის მიღებას „გამონთავისუფლების" მეთოდებით, ფუნქციის $y=x^4$ მაგალითზე, მარქსი წერს: „მთელი შემდეგი განვითარება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სრულებით მზა წარმოებული $4x^3$ გამოვანთავისუფლოთ მისი მამრავლისაგან Δx და მისი მეზობელი წევრებისაგან, გამოვიყვანოთ ის მისი გარემოცვისაგან. ამგვარად, ეს არის არა განვითარების მეთოდი, არამედ მხოლოდ გ ა მ ო ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ ე თ ო დ ი". რამდენადაც გამონთავისუფლების მეთოდში შედეგი, იმის ნაცვლად, რომ მიღებული იყოს, თავიდანვე მზა სახით არის მოცემული, მთელ შემდგომ პროცესს მარქსი აფასებს როგორც ფუფუნებას [7, გვ. 87, 81].

საქმე სხვაგვარ ხასიათს ღებულობს სწორად აგებულ ზღვართა თეორიის, უსასრულოდ მცირის მართებული გაგების, მისი ცვლად სიდიდეთ მიჩნევის პირობებში. წარმოებულის მიღება დაკავშირებული იქნება გარკვეულ უსასრულო პროცესის გაშლასთან, ნაზრდის Δx უსასრულოდ კლებასთან, ე. ი. ცვლადის ახალი მნიშვნელობის მისწრაფებასთან ძველი მნიშვნელობისაკენ. მაშინ, ფუნქციის ნაზრდის და არგუმენტის ნაზრდის შეფარდება $\frac{\Delta y}{\Delta x}$, ჩვენს შემთხვევაში $2x+\Delta x$-ის ტოლი, მიისწრაფის $2x$-კენ და x^2 ფუნქციის წარმოებულისათვის მივიღებთ ფუნქციას $2x$. ეს ფუნქცია გამოყვანილი იქნება გარკვეული

პროცესის შედეგად, და თვით ამ გამოყვანის დროს ის ადრევე სრულებით არ ფიგურირებს როგორც წარმოებული.

ზოგადი იდეა წარმოებულის მიღების მარქსის მიერ მოწოდებული გზისა, რომელზედაც ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით, იმაში მდგომარეობს, რომ წარმოებული გამოყვანილი იყოს როგორც შედეგი გარკვეული განვითარებისა. ასეთი მეთოდი წარმოებულის მიღებისა უპასუხებს ცვლადი სიდიდის დიალექტიკურ გაგებას. ცვლადი სიდიდის მეტაფიზიკურ გაგებისას კი, როგორც ჩვენ დავინახეთ, თვითონ გამოყვანის პროცესს ექნება არა განვითარების, არამედ მხოლოდ გამონთავისუფლების ხასიათი. ამგვარად, მათემატიკაში პირდაპირი და მჭიდრო კავშირი არსებობს საკვლევი საგნისადმი მიდგომასა (მეტაფიზიკური თუ დიალექტიკური) და მსჯელობის ხერხს, თეორიაში გამოყენებულ ლოგიკურ პროცესის გაგებას შორის. ამ კავშირს ნათლად გვანიშნებს თვითონ მათემატიკის ისტორიული განვითარება.

ანტიკური მათემატიკისათვის დამახასიათებელია გათიშულობა მათემატიკის საგნის შიგნით, ერთიმეორისაგან მოწყვეტა არითმეტიკისა და გეომეტრიის, დისკრეტობისა და უწყვეტობის სფეროების, სასრულოსი და უსასრულოსი და ა. შ. მათემატიკის საგანი გაორებული იყო, მას მთლიანობა აკლდა. რიცხვთა სფერო მიჩნეული იყო როგორც სფერო აბსოლუტური წყვეტილობის, დისკრეტობის, განფენილობაში კი ბატონობდა უწყვეტობა. რიცხვები ხაზგასმით ინდივიდუალიზებული იყო, მთავარი ყურადღება ექცეოდა ცალკეული რიცხვების ან რიცხვითი ჯგუფების განუმეორებელ თვისებებს, განფენილობისათვის კი ცალკეულები, ასე ვთქვათ, იკარგებოდა საერთო მასაში, მაგალითად ცალკეული წერტილები წრფეზე გაუპიროვნებულად ჩანდა.

მათემატიკის საგნის გაორებულ ხასიათს ეთანადებოდა ერთგვარი გაორება მათემატიკის მეთოდშიც. ცალმხრივად იყო წარმართული და ერთიმეორისაგან დაშორებული აღმოჩენისა და დამტკიცების გზები. ანალიზი, რომელიც რეგრესიული მიმართების მქონე მსვლელობის: შედეგიდან მიზეზზე, გაპირობებულიდან პირობაზე და სხვ.—გამომხატველია და რომელსაც ძველი საბერძნეთის მეცნიერებაში გეომეტრიული ხასიათი ჰქონდა, ვარგოდა უმთავრესად როგორც ახლის აღმოჩენის ხერხი, ხოლო საკმარისი არ იყო როგორც საბოლოო დასაბუთების საშუალება, სინთეზი კი—პროგრესული მიმართულებით მსჯელობის გამომხატველი—ითხოვდა წინასწარ ცოდნას მოსალოდნელი, სავარაუდო შედეგისა, ხოლო უძლური იყო როგორც ევრისტული ხასიათის, ახლის მიგნების საშუალება.

ნათქვამი შეიძლება ილუსტრირებული იყოს მრუდი ფიგურების გაზომვის საკითხის მაგალითზე. სამუშაო იარაღად ამისათვის ანტიკურ მათემატიკაში იყო მათემატიკური ატომიზმი, მაგრამ ის ძალიან შორს იყო ლოგიკური სიზუსტისაგან, განსაკუთრებით ძველი ბერძნებისათვის, რომელნიც მკაცრ მათემატიკურ მსჯელობებში ერიდებოდნენ უსასრულობის გამოყენებას. მიღებული შედეგების საბოლოო დამტკიცებისათვის ძველმა ბერძნებმა მოიგონეს განსაკუთრებული ხერხი, „ამოწურვის მეთოდი“, რომლითაც ცდილობდნენ აეცდინათ უსასრულობის გამოყენება. ეს მეთოდი აკმაყოფილებდა შედარებით მა-

დალ ლოგიკურ მოთხოვნილებას, მაგრამ იყო არაოპერატიული და გამოყენებისათვის ძალიან მძიმე; მისი გამოყენება მოითხოვდა ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში ხელოვნური გზების მიგნების ძალიან დიდ მოხერხებას და, ამასთან ერთად, გულისხმობდა შედეგის ცოდნას, რომელიც საბოლოოდ უნდა განმტკიცებულიყო.

მათემატიკური ატომიზმით და „ამოწურვის მეთოდით“ წარმოდგენილ გაორებულ ვითარებაში თავს იჩენს შინაგანი გათიშულობა როგორც მათემატიკის საგანში—სასრულოსა და უსასრულოსი ერთიმეორისაგან მოწყვეტის სახით, ისე მათემატიკის მეთოდში—აღმოჩენისა და დასაბუთების ხერხების ერთიმეორისაგან სიშორის მხრით. მხოლოდ მე-17 საუკუნიდან გახდა შესაძლებელი ერთიმეორესთან დაახლოვება აღმოჩენის და დამტკიცების გზებისა და, ამასთან ერთად, მთლიანობის დამყარება თვით მათემატიკის საგანში. ამ მხრით საინტერესოა ის გზა, რომლითაც დეკარტი მივიდა კოორდინატთა პრინციპისა და ანალიზური გეომეტრიის აღმოჩენისაკენ. აქ ძალიან საგულისხმო ისაა, რომ საქმე დაიწყო სწორედ მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემის დასმით—ისეთნაირად გარდაქმნილიყო მეცნიერული მეთოდი, რომ ერთიან მეთოდში ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებული ყოფილიყო აღმოჩენისა და დასაბუთების ხერხები.

დეკარტი ამოცანად ისახავდა ისეთი მეთოდის შექმნას, რომელშიაც ლოგიკური სიზუსტე ორგანულად შეერთებული იქნება მეთოდის ქმედით ხასიათთან. იმისათვის, რომ აღმოჩენის იარაღი იყოს, მეთოდს უნდა ანალიზური ხასიათი ჰქონდეს, რადგან სწორედ ანალიზის დროს ხდება უცნობიდან ცნობილზე გადასვლა. მაგრამ ის უნდა იყოს ალგებრული ანალიზი და არა ძველების გეომეტრიული ანალიზი და ხორციელდებოდეს განტოლებათა საშუალებით. რადგან ამ შემთხვევაში გვაქვს გადასვლები, რომელნიც, საზოგადოდ რომ ვთქვათ, შეიძლება შებრუნებული იყოს, ამიტომ გზის გავლა ანალიზური, რეგრესიული მიმართულებით ამით უკვე მოასწავებს მისივე გავლას სინთეზური, პროგრესული მიმართულებით, ისე რომ ანალიზი იძენს იმ ლოგიკურ ძალას, რომელიც სინთეზს აქვს, და ხდება არა მარტო მიგნების, არამედ საბოლოო დამტკიცების საშუალებაც. ანალიზი და სინთეზი ერთიმეორეს მჭიდროდ უკავშირდება, რითაც ხორციელდება აღმოჩენისა და დამტკიცების გზების დაახლოვება. ანალიზის განთავისუფლება გეომეტრიული წარმოდგენებით გადატვირთულობისაგან არ უნდა იყოს მიღწეული ალგებრული სიდიდეების გეომეტრიული სახეებისაგან მოწყვეტის ხარჯით. პირიქით, საჭიროა მიეცეს მეთოდური ხასიათი კავშირს არითმეტიკულ და გეომეტრიულ ობიექტებს შორის, ეს კავშირი დაყრდნობილი უნდა იყოს ერთიან და მარტივ პრინციპზე.

ამგვარი ვითარების პირობებში დეკარტმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მეოთხე პროპორციულისა და საშუალო პროპორციულის წესების გამოყენებით შეიძლება მონაკვეთთა ნამრავლი, შეფარდება, კვადრატული ფესვი მონაკვეთისაგან კვლავ მონაკვეთის საშუალებით იყოს გამოთქმული. ამასთან დაკავშირებით დეკარტმა წამოაყენა საერთო პრინციპი, რომლის მიხედვით

რიცხვებს მარტივი და ამასთანავე საყოველთაო გეომეტრიული გამოხატულება უნდა ჰქონდეთ, სახელდობრ მონაკვეთების სახით. მყარდება სრული შესაბამისობა რიცხვთა სიმრავლესა და მონაკვეთთა სიმრავლეს, ანუ ღერძის წერტილთა სიმრავლეს შორის. ამაში მდგომარეობს ძირითადი ბირთვი კოორდინატთა იდეისა. ამის შემდეგ საჭირო იქნება მხოლოდ განზომილებათა გაძლიერება: ორღერძიან კოორდინატთა სისტემის საშუალებით სიბრტყის წერტილთა დაკავშირება რიცხვთა წყვილებთან, სამგანზომილებიან სისტემის საშუალებით სივრცის წერტილთა დაკავშირება რიცხვთა სამეულებთან.

კოორდინატთა პრინციპმა მჭიდრო კავშირი დაამყარა არითმეტიკისა და გეომეტრიის საგნებს შორის და ამით ბოლო მოეღო ძველს მათემატიკაში დაკანონებულ და შემდეგშიაც გაგრძელებულ მათ გათიშვას. მათემატიკა ორად გაპობილი არ რჩება და მისმა საგანმა მთლიანობა შეიძინა. დამახასიათებელია, რომ ერთიანობის განმტკიცებამ მათემატიკის მეთოდში ხელი შეუწყო ერთიანობის განმტკიცებას მათემატიკის საგანშიც, ისე რომ მე-17 საუკუნეში მომხდარი ძირითადი ხასიათის გარდაქმნები, მათემატიკის მეთოდისა და საგნის შიგნით მთლიანობის დამყარების ნიშნის ქვეშ, ერთიმეორესთან დაკავშირებით მიმდინარეობდა.

რიცხვებსა და წერტილებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების შემდეგ რიცხვებში უკვე გამოჩნდება მათი გამაერთიანებელი ზოგადი, წერტილები კი ერთიმეორისაგან გასარჩევი ხდება და კონკრეტულ ხასიათს იძენს. აქ ხორციელდება ზოგადისა და ცალკეულის ერთიანობა და ამასთან დაკავშირებულია ცვლადი სიდიდის წამოწევა. ცვლადი სიდიდე მის ცალკეულ მნიშვნელობებთან განუყრელად დაკავშირებულია. კოორდინატთა პრინციპის წამოწევასთან დაკავშირებით ცვლადი სიდიდის ცნება იწყებს გაბატონებულ მნიშვნელობის მიღებას მათემატიკაში. „შემობრუნების წერტილი მათემატიკაში,—ამბობს ფ. ენგელსი,—იყო დეკარტის ც ვ ლ ა დ ი ს ი დ ი დ ე. ამის წყალობით მათემატიკაში შევიდა მ ო ძ რ ა ო ბ ა და დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა...“ [8].

ამგვარად, მათემატიკურ მეთოდში დიალექტიკურობის განმტკიცება, ერთიმეორესთან დაკავშირება ანალიზისა და სინთეზის, აღმოჩენისა და დასაბუთების გზებისა და სხვ. მოასწავებს დიალექტიკურობის განმტკიცებას მათემატიკის საგანშიც, ცვლადი სიდიდის წინა პლანზე წამოწევას. ახალი პერიოდი მათემატიკაში იწყება იმ საფუძვლიან ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც განიცადა აზროვნების ხერხმა მათემატიკაში, მათემატიკის საერთო მეთოდოლოგიამ.

ზემონათქვამი საშუალებას გვაძლევს შევუდგეთ პრობლემის გადაწყვეტას იმ ძირათადი ნიშნის შესახებ, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მათემატიკის ისტორიის პერიოდიზაციას. ეს არის თვითონ აზროვნების ხერხი და მისი ძირითადი განვითარება, რაც მდგომარეობს აზროვნების მეტაფიზიკური ხერხიდან აზროვნების დიალექტიკურ ხერხზე გადასვლაში. მათემატიკის ისტორია უნდა დაიყოს ორ ძირითად პერიოდად იმისდა მიხედვით, თუ რომელი აზროვნების ხერხია მოქმედებაში—მეტაფიზიკური თუ დიალექტიკური. ძველი მათემატიკისათვის დამახასიათებელია აზროვნების მეტაფიზიკური

ხერხი. მართალია, ძველი ბერძნების შესახებ ცნობილია ფორმულა, რომ მათ-თან, შედარებით მეცნიერების განვითარების მომდევნო ხანასთან, როდესაც თავის ძლიერი გამოვლენა ჰპოვა აზროვნების მეტაფიზიკურმა ხერხმა, დია-ლექტიკური აზროვნება გამოდის მთელი თავისი პირველყოფილი სიმარტივით, მაგრამ, თუ ავიღებთ უფრო მსხვილ პლანს, ძველი ბერძნების მათემატიკაც უნდა იყოს მიკუთვნებული მათემატიკის ისტორიის მეტაფიზიკური პერიოდისადმი, რომელიც საერთოდ წარმოადგენს მათემატიკის განვითარების პირველ პერიოდს.

ძველი ბერძნებისათვის საერთოდ უცხო იყო ცვლადი სიდიდის ცნება და მისი როლი მათემატიკაში. ის, რასაც ჩვენ ცვლადის მნიშვნელობებად მი-ვიჩნევთ, ძველი ბერძნებისათვის ერთგვარი შეჩერებული მდგომარეობის გამო-მხატველი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე ტიპიურ გა-მოვლენას პოულობს მეტაფიზიკური ხასიათის მქონე „ჯამის თვალსაზრისი". აქ, პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ ძენონის აპორიები, რომელთა მიზანი იყო მოძრაობის ლოგიკური შეუძლებლობის ჩვენება.

აპორიაში „ისარი" ძენონი ასეთნაირად მსჯელობს: მოძრავი ისარი ყო-ველ მომენტში გარკვეულ ადგილას არის, მაგრამ, თუ ის ამ ადგილას იმყო-ფება, ის გაჩერებულ მდგომარეობაშია და, მაშასადამე, გამოდის, რომ მოძრავი ისარი ყოველთვის გაჩერებულ მდგომარეობაშია [9].

ძენონის მიერ ჩადენილი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ეს წინათაც აღნიშნული გვქონდა, მოძრაობის დროს სხეულის ყოფნა ამა თუ იმ ადგილას სრულებით არ ნიშნავს მის უძრაობას. უძრაობა ისაა, რომ დრო მიდის, სხეული კი განაგრძობს იმავე ადგილზე ყოფნას. ძენონს, ამგვარად, მოძრაობა წარმოდგენილი აქვს როგორც უძრაობის მდგომარეობა-თა, გაჩერებათა ჯამი. მსგავსი ხასიათი აქვს ძენონის აპორიებს „აქილევსი და კუ" და „დიხოტომია". აპორიაში „აქილევსი და კუ" გამოდის, რომ აქილევსი ვერასოდეს ვერ დაეწევა კუს, რადგან, როცა აქილევსი მივა იმ ადგი-ლას, სადაც მოძრაობის დასაწყისში იყო კუ, უკანასკნელი მოასწრებს ამ ადგილის შეცვლას და ახალი ადგილის დაკავებას; მაგრამ, როცა აქი-ლევსი ამ ახალ ადგილზე მივა, კუ კვლავ ადგილიდან გადანაცვლებული იქნება და ა. შ. უსასრულოდ [9, გვ. 112—120]. აქ გარკვეული მსჯელობის საშუალებით გამოყოფილი ადგილთა უსასრულო სიმრავლე განხილულია რო-გორც ერთგვარად გამოყოფილი თვით მოძრაობის პროცესში, როგორც ამ მოძრაობის სადგურები, როგორც შეჩერების მდგომარეობის გამომხატველი, ისე რომ აქაც ძალაშია მოძრავი სხეულის ამა თუ იმ ადგილას ყოფნის გაგება როგორც შეჩერების მდგომარეობისა.

აპორიის „დიხოტომია" საშუალებით ძენონს სურს მოძრაობის ლოგიკუ-რი შეუძლებლობა იმ მხრივ გამოავლინოს, რომ მოძრავმა სხეულმა, სანამ მთელ გზას გაივლის, ჯერ უნდა გაიაროს მისი ნახევარი, მაგრამ უფრო ადრე ამ ნა-ხევარის ნახევარი და ა. შ. [9]. აქაც გამოდის, რომ მოძრავი სხეულის სათანა-დო მდგომარეობა (მაგალითად, გზის შუა ადგილას) შეფასებულია როგორც მოძრაობის გამწყვეტი და მის ორ მოძრაობად დამშლელი, რაც იმას მოასწა-ვებს, რომ ეს მდგომარეობა გაგებულია როგორც გაჩერების მდგომარეობა.

ძენონის რიგი აპორიებისა მიმართულია სიმრავლისა და რიცხვის ცნებე-ბის წინააღმდეგ. ძენონის მსჯელობით რაიმე საგანი ნაწილთა სიმრავლისგან რომ შედგებოდეს, მაშინ გამოვა, რომ იმისდა მიხედვით, ნაწილებს მივიჩნევთ განფენადად თუ განუფენადად, მთელი საგანი გამოვა ან უსასრულოდ მცირე, ან უსასრულოდ დიდი. ძენონის ყველა მოყვანილი აპორიები აგრეთვე მიმართულია უსასრულობის წინააღმდეგ.

ძენონის აპორიებმა დიდი გავლენა მოახდინეს მთელი ძველი საბერძნე-თის მათემატიკის ხასიათის ფორმირებაზე. ცდილობდნენ იმგვარად აეგოთ ზუსტი მათემატიკური თეორიები, რომ შეძლებისდაგვარად გვერდი აეარათ სიმრავლის, რიცხვის და უსასრულობის გამოყენებას, ეს განსაკუთრებით ნათ-ლად ჩან ევკლიდის „საწყისების" მაგალითზე.

რასაკვირველია, მოთხოვნილება—განთავისუფლებული იყოს მათემატიკური მსჯელობა უსასრულობისადმი მიმართვისაგან შეიძლება შეხებოდა მხოლოდ მათემატიკურ დამტკიცებებს და მკაცრ მათემატიკურ მსჯელობებს, და არა გზებს, რომელთა საშუალებით მათემატიკური აღმოჩენები კეთდებოდა. უკა-ნასკნელები ერთგვარად „თავისუფალია" და არ შეიძლება იყოს სათანადო კონტროლის და აკრძალვის საგანი. როცა ადამიანს სურს თავის თავს ძალა დაატანოს და უსასრულობაზე არ იფიქროს, სწორედ ამით ის უსასრულობაზე ფიქრობს. უსასრულობას მოქალაქეობრივი უფლება შენარჩუნებული ჰქონდა მხოლოდ ევრისტულ პლანში, მათემატიკური აღმოჩენებისა და მიგნების ფარგლებში. მათემატიკური დამტკიცებისათვის კი ნებადართული იყო მხოლოდ სასრული. აქ კვლავ თავს იჩენს ანტიკური მათემატიკისათვის დამახასიათებელი სიშორე აღმოჩენისა და დამტკიცების გზებისა.

უსასრულობის ცნებაზე დაყრდნობილ ერთერთ სამუშაო იარაღს მათემა-ტიკურ ძიებათა დროს წარმოადგენდა მათემატიკური ატომიზმი, რომლის მი-ხედვით ესა თუ ის სიდიდე წარმოიდგინება როგორც სათანადო აქტუალურ უსასრულოდ მცირე ელემენტების თავმოყრა, მაგალითად, რაიმე მონაკვეთი განიხილება როგორც ჯამი უსასრულოდ მცირე სიგრძის მქონე მონაკვეთებისა, რაიმე სხეული—როგორც ჯამი უსასრულოდ მცირე სისქის მქონე ფურცლე-ბისა, მსგავსად ფურცლებისაგან შედგენილი წიგნისა და სხვ. მათემატიკურ ატომიზმში უსასრულობა გამოდიოდა ერთგვარად დასრულებულ, სტატიკურ მდგომარეობაში, მაგალითად, წრეწირი გატოლებული იყო მრავალკუთხედთან გვერდთა უსასრულო სიმრავლით და თითოეული გვერდი წარმოსდგებოდა როგორც უსასრულოდ მცირე.

უსასრულობა, როგორც ერთგვარად გაქვავებული და სასრულის მიღმა მყოფი, ძალაუნებურად ემსგავსებოდა სასრულს. უსასრულობის მოწყვეტა სასრულისაგან გადადის თვით უსასრულობის წარმოდგენაში სასრულის მსგავ-სად. ჰეგელი სამართლიანად ამბობს, რომ, თუ უსასრულოს დავიჭერთ სასრუ-ლოსაგან წმინდად და მისგან შორს, ამით მას მხოლოდ დავასასრულებთ [10]. რაც შეეხება ამოწურვის მეთოდს, მასში საერთოდ ცდილობდნენ შემოფარგლუ-ლიყვნენ სასრულო შესაძლებლობებით. ამგვარად, დაპირისპირებაში: მათემა-ტიკური ატომიზმი—ამოწურვის მეთოდი გვაქვს ერთიმეორისაგან მოწყვეტა

